



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

N 93/3

ბრძანება

20/04/2018

**„ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 18 აპრილის
№89/3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ და „ჰ“ ქვეპუნქტებისა და 212-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. „ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 18 აპრილის №89/3 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ილია ნაკაშიძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 89/3

18/04/2018

ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 212-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, „ელგუჯა გვაზავას, გივი ლომინაძისა და რაისა ქარაიას ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოს წევრებად დანიშვნის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2018 წლის 2 აპრილის №03/25 ბრძანებისა და „დავით გაბაიძის, ნინო ჩხეტიას და ასმათ დიასამიძის ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოს წევრებად დანიშვნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2018 წლის 2 აპრილის №23 ბრძანების შესაბამისად:

1. საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების საკანონმდებლო პროცესების კოორდინაციის მიზნით შეიქმნას ერთობლივი საკოორდინაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) არჩილ თალაკვაძე – საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი;

ბ) ზაზა გაბუნია – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე;

გ) მამუკა ჩიქოვანი – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) ელგუჯა გვაზავა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

ე) გივი ლომინაძე – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ვ) რაისა ქარაია – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ახალი აფხაზეთი – სამართლიანობის“ თავმჯდომარე;

ზ) დავით გაბაიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

თ) ნინო ჩხეტია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ი) ასმათ დიასამიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2. ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ზვიად ძიძიგურს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 17 თებერვლის №24/3 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

